



კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო
დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება შპს „კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები და პროცედურები.
- 1.2. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმებისა და პროცედურების მიზანია, თავიდან იქნას აცილებული წესრიგის დარღვევის შემთხვევები, უნივერსიტეტში სახანძრო ან სხვა ტიპის საგანგებო მდგომარეობები და ინციდენტები. მათი დადგომის შემთხვევაში კი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი საზიანო შედეგები.

2. პასუხისმგებელი პირები

- 2.1. უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის უსაფრთხოების მენეჯერი.
- 2.2. უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ექიმი.

3. უნივერსიტეტის უსაფრთხოების მენეჯერი

- 3.1. უსაფრთხოების მენეჯერი არის უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე. უსაფრთხოების მენეჯერი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან.
- 3.2. უსაფრთხოების მენეჯერის ფუნქციები და მოვალეობებია:
 - 3.2.1. საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა აქტების საფუძველზე უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა.
 - 3.2.2. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოების დაცვა.
 - 3.2.3. უნივერსიტეტის მატერიალური ქონებისა და ფასეულობების დაცვა.
 - 3.2.4. უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა.
 - 3.2.5. უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის რესურსების შესაბამისი განთავსების და მდგომარეობის კონტროლი.
 - 3.2.6. საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივი მიმართვა სამართალდამცავი, სახანძრო, სამაშველო, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორგანოებისათვის.
 - 3.2.7. ხანძრის გაჩენის საფრთხის შემთხვევაში მისი გაჩენისა ან/და გავრცელების ხელშეშლა ელექტროენერჯის დროული შეწყვეტითა და საფრთხის წყაროს შესაბამისი საშუალებებით განეიტრალებით.
 - 3.2.8. ხანძრის გაჩენის შემთხვევაში შესაძლებლობისა და გონივრულობის ფარგლებში ხანძრის ჩაქრობა.

- 3.2.9. სახანძრო და სამაშველო სამსახურებისთვის უნივერსიტეტის შენობაზე, მის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებზე ინფორმაციის მიწოდება და მათი დახმარება ხანძრის ჩაქრობის ეფექტური გზების მოძიებაში.
- 3.2.10. ხანძრის ან სხვა საგანგებო მდგომარეობისას, უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ევაკუაციის კოორდინირება.
- 3.2.11. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისათვის უნივერსიტეტში უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა.

4. უნივერსიტეტის ექიმი

- 4.1. ექიმი არის უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე. ექიმი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან.
- 4.2. ექიმის ფუნქციები და მოვალეობებია:
 - 4.2.1. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.
 - 4.2.2. საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.
 - 4.2.3. სასწრაფო სამედიცინო დახმარების წარმომადგენლებსა და სხვა სამედიცინო პირებთან, დასახმარებელი პირის შესახებ სამედიცინო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა.
 - 4.2.4. უნივერსიტეტში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწვევისთვის აუცილებელი რესურსების განსაზღვრა და შესაბამისი მოთხოვნის წარდგენა ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისთვის.
 - 4.2.5. ექიმის კაბინეტში არსებული რესურსების (მათ შორის მედიკამენტების) სათანადო წესით შენახვა და ვადების კონტროლი.
 - 4.2.6. ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისთვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების სტანდარტების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

5. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები

- 5.1. უნივერსიტეტი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს შემდეგი მექანიზმები:
 - 5.1.1. უნივერსიტეტში დასაქმებულია უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვას.
 - 5.1.2. უნივერსიტეტის ტერიტორია უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით.
 - 5.1.3. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სავაკუაციო გეგმები განთავსებულია თვალსაჩინო ადგილებზე.
 - 5.1.4. უნივერსიტეტში ახალი ტექნიკისა და საშუალებების მონტაჟი, შემდგომი ექსპლუატაცია და დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მათი ტექნიკური დოკუმენტაციისა და სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების გათვალისწინებით.

- 5.1.5. უნივერსიტეტის მიერ პერსონალთან და სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულია უნივერსიტეტში დასაქმებული პირებისა და სტუდენტების ქცევის წესები და მათი დარღვევისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა, რაც ამცირებს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და წესრიგის დარღვევის რისკებს.
- 5.1.6. ხანძრის ან სხვაგვარი განსაკუთრებული მდგომარეობის შემთხვევაში უნივერსიტეტის უსაფრთხოების მენეჯერი ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის ორგანოებს და უზრუნველყოს ევაკუაციის პროცესის კოორდინირება.
- 6. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მოვალეობები უნივერსიტეტში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნებისთვის**
- 6.1. დაუშვებელია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღის, ცივი იარაღის, ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და ტოქსიკური ნივთიერებების შეტანა, შენახვა, მოხმარება ან/და გადაცემა გარდა ლაბორატორიის ან სხვა სამსახურისთვის აუცილებელი მასალის ან/და ინვენტარისა, რაც წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან (ადმინისტრაციის უფროსთან).
- 6.2. უნივერსიტეტში დასაქმებული პირები და სტუდენტები ვალდებული არიან, არ შეუქმნან საფრთხე სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
- 6.3. უნივერსიტეტში დასაქმებული პირები და სტუდენტები ვალდებული არიან, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წესრიგის დარღვევის შემთხვევების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ უნივერსიტეტის უსაფრთხოების მენეჯერს.
- 6.4. უნივერსიტეტში დასაქმებული პირები და სტუდენტები ვალდებული არიან, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესამჩნევი გაუარესების დროს დაუყოვნებლივ აცნობონ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ორგანოს ტელეფონის ნომერზე „112“ და უნივერსიტეტის ექიმს.
- 6.5. უნივერსიტეტში დასაქმებული პირები და სტუდენტები ვალდებული არიან, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის, კანონდარღვევის ფაქტის შემჩნევის ან სხვა ტიპის საგანგებო მდგომარეობისას, პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემდგომ დაუყოვნებლივ აცნობონ ფაქტის შესახებ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს ტელეფონის ნომერზე „112“.
- 6.6. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისთვის სავალდებულოა უნივერსიტეტის პერსონალმა და სტუდენტებმა დაიცვან შემდეგი ქცევის წესები:
- 6.6.1. გაეცნონ უნივერსიტეტის ტერიტორიიდან საევაკუაციო გეგმებსა და უნივერსიტეტში ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განთავსების ადგილებს.
- 6.6.2. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაუშვებელია ადვილად აალებადი და ფეთქებადი ნივთიერებების შემოტანა.
- 6.6.3. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაუშვებელია თამბაქოს ან სხვა სახის საშუალებების მოწევა, გარდა ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა.

- 6.6.4. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ცეცხლის ანთება.
- 6.6.5. სავალდებულოა სამუშაოს დასრულების შემდეგ საოფისე ტექნიკისა და ელექტროგამანაწილებელ ქსელში ჩართული მოწყობილობების გათიშვა.
- 6.6.6. დაუშვებელია თვითნაკეთი ან/და გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი ელექტროსამუშაოების შეერთება უნივერსიტეტის ელექტროგამანაწილებელ ქსელში.
- 6.6.7. დაუშვებელია ნებისმიერი სახით სახანძრო სისტემებზე, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარზე, საევაკუაციო გეგმებზე ან/და უნივერსიტეტის შენობის გეგმარებაზე იმგვარი ზემოქმედება, რომელიც ამცირებს ხანძარსაწინააღმდეგო ან სხვა სახის უსაფრთხოების დაცვის ხარისხს.
- 6.6.8. დაუშვებელია საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების ნებისმიერი ფორმით ჩახერგვა ან/და მათზე რაიმე დაბრკოლებების/ბარიერების განთავსება.
- 6.6.9. დაკვამლიანების, დამწვრის სუნის ან სხვა უჩვეულო ნიშნის შემჩნევის შემთხვევაში სავალდებულოა, პირმა დაუყოვნებლივ აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ან/და უსაფრთხოების მენეჯერს და დატოვოს უნივერსიტეტის ტერიტორია.

7. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი

- 7.1. უნივერსიტეტში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით უნივერსიტეტში დასაქმებულია ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს უწევს პირველად გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.
 - 7.1.1. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის აუცილებელი რესურსებით.
 - 7.1.2. საჭიროების ან/და მომეტებული საფრთხის არსებობისას, ექიმი იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს.